385
1970/2

პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (353)

1970 წლის ივნისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 6 (353) ივნისი 1970 წელი

ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

93. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ.

94. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო ფულადი დახმარების დანიშვნა-გაცემისა და მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების საქმეში ახალქალაქის რაიონული და საოფლო საბჭოების მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

95. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ბუნების დაცვის მდგომარეობა, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი რესპუბლიკაში.

96. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის დამტკიცების შესახებ.

97. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე.

98. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

11.363

99. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

100. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „მაღალძაბვიანი ელექტროქსელების დაზიანებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

101. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

102. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ მინისტრებისა და მთავრობის სხვა წევრების გათავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების შესახებ.

103. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ.

104. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. ო. ა. ჯიბლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

105. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. ე. მ. ჩიქვინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ.

106. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში დამატებათა შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

107. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. სტვილიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

108. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის საყრდენ-საჩვენებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

109. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. გ. შარაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

110. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. პ. გუგუნავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

111. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ თ. ნ. ლოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

112. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ... ნეცკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელ... დოების შესახებ.

113. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ს. გოგილიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

114. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ შ. თ. ჭანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საინფორმაციო ცნობა

დანართი — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

93 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ

„ვალუტის მცირე რაოდენობით შესყიდვის, გაყიდვისა და გაცვლისათვის და უცხოელთაგან ნივთების შესყიდვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 25 მარტის ბრძანებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს 165^2 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 165^2. ვალუტის ან ფასიანი ქაღალდების მცირე რაოდენობით შესყიდვა, გაყიდვა და გაცვლა

ვალუტის ან ფასიანი ქაღალდების მცირე რაოდენობით შესყიდვა, გაყიდვა და გაცვლა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომლის მიმართაც ამავე ქმედობისათვის ერთი წლის განმავლობაში ორჯერ იყო გამოყენებული ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, სავალუტო ფასეულობის კონფისკაციით“.

2. დადგინდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 165^2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე წარმოებს მოკვლევა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სასამართლო ან პროკურორი საჭიროდ მიიჩნევს — წინასწარი გამოძიება.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის პირველ ნაწილს ციფრის 138 შემდეგ დაემატოს ციფრი 165^2.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 30 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

94 მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო ფულადი დახმარების დანიშვნა-გაცემისა და მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების საქმეში ახალქალაქის რაიონული და სასოფლო საბჭოების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდუმმა მოისმინა ახალქალაქის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. უ. კაზარიანის ინფორმაცია მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო ფულადი დახმარების დანიშვნა-გაცემის, აგერთვე მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების საქმეში რაიონული, სასოფლო საბჭოების მუშაობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით ახალქალაქის რაიონში განხორციელებულია გარკვეული მუშაობა.

მარტო უკანასკნელ წელიწადნახევარში 2.387 მრავალშვილიანმა და 70 მარტოხელა დედამ ერთდროული დახმარების სახით მიიღო 187.883 მანეთი. ფულადი დახმარების დანიშვნა და გაცემა ძირითადად ხდება სწორად, ინსტრუქციით გათვალისწინებულ ვადებში წარმოებს მრავალშვილიანი დედებისათვის „სახელოვანი დედის" ორდენებისა და „დედობის მედლის" გადაცემა.

ამასთან ერთად, ახალქალაქის რაიონულ და სასოფლო საბჭოებს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო ფულადი დახმარების დანიშვნა-გაცემისა და მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების საქმეში ჯერ კიდევ გააჩნიათ რიგი ნაკლოვანებანი.

მრავალშვილიანი დედების ჯილდოზე წარდგენას რაიონული საბჭოს აღმასკომი აწარმოებს სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობათა გარეშე, რითაც არღვევს კანონს „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ". სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები ვერ ერკვევიან მრავალშვილიანი დედების ჯილდოზე წარდგენისა და ჩაბარების ინსტრუქციაში, ხოლო რაიონული საბჭოს აღმასკომის პრაქტიკაში არაა დანერგილი მათთვის თათბირ-სემინარების ჩატარება დაჯილდოებაზე წარდგენის წესების განმარტების მიზნით.

ბევრ სასოფლო საბჭოს აღმასკომში არ წარმოებს დაჯილდოებულ და დასაჯილდოებელ დედათა კონტინგენტის ზუსტი აღრიცხვა. სათანადო ყურადღება არ ექცევა მრავალშვილიანი დედების პოპულარიზაციის საქმეს.

რაიონული საბჭოს აღმასკომი დაგვიანებით გზავნის ჯილდოების ჩაბარების ოქმებს. ასე, მაგალითად: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 21 დეკემბრისა და 1970 წლის 28 იანვრის ბრძანებულებებით დაჯილდოებული დედებისათვის ჯილდოების ჩაბარების ოქმები გამოგზავნილი იქნა მხოლოდ მიმდინარე წლის ივნისში.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები ჯეროვან მზრუნველობას არ იჩენენ მრავალშვილიანი დედების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ რაიონს გააჩნია საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდი, დახმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება არ ეწევა მრავალშვილიანი დედების მოსწავლე ბავშვებს. [illegible] გასულ წელს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდი [illegible] ათას მანეთს, აქედან მხოლოდ 9 ათასი მანეთი იქნა დახარჯული. რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არ არის გახსნილი მუდმივი და სეზონური საბავშვო ბაგები და ბაღები.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ ახალქალაქის რაისაბჭოს აღმასკომი სათანადო ყურადღებას არ უთმობს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო ფულადი დახმარების დანიშვნა-გაცემისა და მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ახალქალაქის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს:

ა) მტკიცედ დაიცვას „გმირი დედის“ საპატიო წოდების მისანიჭებლად და „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დასაჯილდოებლად წარდგენის წესი;

ბ) საბჭოების მუდმივი კომისიების, დეპუტატების და აქტივის მონაწილეობით პერიოდულად შეამოწმოს მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო ფულადი დახმარების დანიშვნა-გაცემისა და მრავალშვილიანი დედების მთავრობის ჯილდოზე წარდგენის სისწორე. მიიღოს ზომები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

გ) მეტი დახმარება გაუწიოს სასოფლო საბჭოებს, უახლოეს დროში ჩაატაროს ამ საბჭოების თავმჯდომარეებისა და მდივნების თათბირ-სემინარი მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების საკითხებზე და მომავალში, სასოფლო და სადაბო საბჭოების კანონის შესაბამისად, არ დაუშვას მრავალშვილიანი დედების ჯილდოზე წარდგენა სასოფლო საბჭოების შუამდგომლობის გარეშე;

დ) მეტი ყურადღება მიაქციოს მრავალშვილიანი დედების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მათი შვილების სწავლა-აღზრდის საქმეს. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა ორგანიზაციების მონაწილეობით მიიღოს ზომები ბაგა-ბაღების, საზაფხულო ბანაკების, ბავშვთა სარძეო სამზარეულოების ქსელის გასაფართოებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო ფულადი დახმარების დანიშვნა-გაცემისა და მრავალშვილიანი დედების მთავრობის ჯილდოზე წარდგენის საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 30 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

95 ბუნების დაცვის მდგომარეობა, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი რესპუბლიკაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დეპუტატ ზ. გელდიაშვილის მოხსენება „ბუნების დაცვის მდგომარეობა, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა და მათი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი რესპუბლიკაში“, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ მ. საბაშვილის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. ნონეშვილის თანამოხსენებანი, აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ ბუნების დაცვის კანონის ცხოვრებაში გატარებამ საგრძნობლად გააუმჯობესა რესპუბლიკაში ბუნების დაცვის მდგომარეობა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1966 წლის 24 ივნისის დადგენილებამ ბუნების დაცვის კანონის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

ხელმძღვანელობდნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 მარტის დადგენილებით „ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიისაგან ნიადაგების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა, აგრეთვე ცალკეულმა სამინისტროებმა, უწყებებმა, წარმოება-დაწესებულებებმა გააძლიერეს ბრძოლა ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვისა და კვლავწარმოების უზრუნველსაყოფად. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები თავიანთ სესიებზე იხილავენ ბუნების დაცვის საკითხებს და ქმედით ღონისძიებებს ახორციელებენ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში შესრულდა მნიშვნელოვანი სამუშაოები წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისაგან ნიადაგის დასაცავად. გაშენდა სახელმწიფო ქარსაფარი ზოლები 1.800 ჰექტარზე, მინდორსაცავი ტყის ზოლები — 5.100 ჰექტარზე, ტყეები — 4.600 ჰექტარ ჩამორეცხილ ფერდობებზე, 1.500 ჰექტარზე მოწყობილია ტერასები, 800 ათას ჰექტარზე ჩატარებულია ნიადაგის მსხვილმასშტაბიანი გამოკვლევა. 406 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჩატარდა შიგასამეურნეო მიწათმოწყობა და შემოღებულია თესლბრუნვა. შემუშავებულია ტყის ჭრის ახალი წესები, გაუმჯობესდა მცენარეთა მავნებლებისა და უნებართვო ჭრისაგან ტყის დაცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა წყლის რესურსების ... ონალურად გამოყენებისა და მდინარეების გაჭუჭყიანებისაგან დაცვისა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ინიციატივით და მუდმივი კომისიების, დეპუტატების, საზოგადოება „ბუნების მეგობრის", წარმოება-დაწესებულებათა აქტიური მონაწილეობით ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში გაშენდა ტყე-პარკები, ბაღები, გამწვანდა გზები და მაგისტრალები.

საგრძნობლად გაუმჯობესდა გარეული ცხოველების, აგრეთვე თევზის დაცვისა და მომრავლების საქმე. გაძლიერდა ბრძოლა ბრაკონიერებისა და ბუნების სიმდიდრეთა ყველა ხელმყოფის წინააღმდეგ.

სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა შავი ზღვის სანაპიროს, მდინარეების, წყალსაცავების, ტყეების დაცვისა და რაციონალურად გამოყენებისათვის.

ამასთან ერთად, რესპუბლიკაში ბუნების დაცვის კანონის შესრულებისა და ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოები, სამინისტროები და უწყებები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და სამეცნიერო დაწესებულებები არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს ბუნების დაცვის, მოვლისა და მის სიმდიდრეთა უკეთ გამოყენებისათვის. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია ისიც, რომ ყოველწლიურად აუთვისებელი რჩება ამ დანიშნულებით სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროები და მათი ადგილობრივი ორგანოები სუსტად ხელმძღვანელობენ და სათანადო კონტროლს არ უწევენ საირიგაციო სისტემების ექსპლოატაციას. ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა უხეშად არღვევს რწყვის წესებს, რის გამოც ზოგიერთ რაიონში სწრაფი ტემპით ვითარდება ირიგაციული ეროზია.

ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჯერ კიდევ აღკვეთილი არ არის 15 გრადუსზე მეტი დაქანების მქონე ფერდობებზე სიმინდის, თამბაქოსა და სხვა სათოხნი კულტურების თესვა-მოყვანა, რაც ხელს უწყობს ნიადაგის ინტენსიურ ჩამორეცხვას.

წყლისმიერ ეროზიასთან ერთად რესპუბლიკის ბევრ რაიონში დიდი ზიანი მოაქვს ქარისმიერ ეროზიას.

საკმაო ყურადღება არ ექცევა ჩამორეცხილი ფერდობების გამდელოებაგატყიანებას და სხვა ღონისძიებებს. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილი არ არიან მრავალწლიანი საკვები ბალახების თესლით.

საქართველოს სსრ მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები, ქიმიური მრეწველობის საქმართველო, ზოგიერთი სხვა სამინისტრო, უწყება და ორგანიზაცია არადამაკმაყო-

ფილებლად ასრულებენ მთავრობის დადგენილებას იმის შესახებ, რომ ტყის ლის მეურნეობისათვის ვარგისი გახადონ და შესაბამის მეურნეობებს, რომ ... რუნონ მათთვის დროებით საექსპლოატაციოდ გადაცემული მიწები, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები არ ახორციელებენ საჭირო კონტროლს. ამის შედეგად მიწის მნიშვნელოვანი ფართობები გამოსულია სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან და განიცდის ეროზიას.

გახშირდა მეწყერები, წყალდიდობა და ბუნების სხვა მავნე მოვლენები.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ხშირად ირღვევა ტყის მეურნეობის წარმოების დადგენილი წესები (აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ახმეტის, თიანეთის, ამბროლაურის, მაიაკოვსკის და სხვა რაიონები), ადგილი აქვს ტყის თვითნებურად გაჩეხვის შემთხვევებს. მარტო უკანასკნელ 4 წელიწადში სახელმწიფო ტყეებში უნებართვოდ მოჭრილია 39.388 კუბური მეტრი ხე-ტყე.

არადამაკმაყოფილებელია საკოლმეურნეო ტყეების დაცვისა და ექსპლოატაციის მდგომარეობა.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ტყეში გზების მშენებლობას, რაც ხელს უშლის ტყის დიდ მასივებში სატყეო-სამეურნეო გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარებას.

ნაკლოვანებებია სასარგებლო ნადირ-ფრინველის დაცვის, მოშენებისა და კვლავწარმოების საქმეში. ირღვევა ნადირობის ვადები და ნორმები. ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ბრაკონიერობა.

სასამართლოს, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოები, აგრეთვე ბუნების დაცვის სპეციალიზირებული სამსახური სუსტად ებრძვიან ბუნების სიმდიდრეთა განადგურებას, ყოველთვის არ იღებენ ოპერატიულ ზომებს დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად.

ზოგიერთი სამინისტრო, უწყება, საწარმო და სამეურნეო ორგანიზაცია, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი ჯერ კიდევ საჭირო ყურადღებას არ აქცევს შავი ზღვის სანაპიროს, რესპუბლიკის მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლას, წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენებას. არ სრულდება გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის გეგმები და აუთვისებელი რჩება სახელმწიფოს მიერ ამ დანიშნულებით გამოყოფილი სახსრები.

ჯერ კიდევ არ ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი რესპუბლიკის წყალსაცავებში თევზის მომრავლებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად. ირღვევა თევზჭერის დადგენილი წესები.

ბუნება წარმოადგენს მატერიალური დოვლათის პირველწყაროს, თვითეული ადამიანის ჯანმრთელობის, სიხარულის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს და მისი დაცვის შემდგომი გაუმჯობესება, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენება, ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება საერთო სახალხო საქმედ უნდა იქნეს მიჩნეული. გამომდინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე აქედან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო და საზოგადოებრივი დაწესებულებების, რესპუბლიკის ყველა მშრომელის უმთავრეს ამოცანად მიჩნეულ იქნას ბუნების სიმდიდრეთა დაცვა, მისი რესურსების რაციონალურად გამოყენება და გამრავლება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას", აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოებს და კოლმეურნეობებს:

ა) განიხილონ ბუნების დაცვისა და მისი რესურსების გამოყენების, ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რეგულარულად შეამოწმონ ბუნების დაცვის კანონის შესრულების მდგომარეობა, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან მუდმივი კომისიები, დეპუტატები, აქტივი, საზოგადოება „ბუნების მეგობარი" და მშრომელთა ფართო მასები;

ბ) დასახონ და განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის, უზრუნველყონ ეროზიის საწინააღმდეგო აგროტექნიკური წესების დაცვა, არ დაუშვან 15 გრადუსზე მეტი დაქანების მქონე ფერდობებზე ერთწლიანი სათოხნი კულტურების თესვა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქარსაფარი და მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებას, ფერდობების გატყიანებას და ბალახთესვას;

გ) სათიბ-საძოვრებისა და მდელოების დაცვის მიზნით უზრუნველყონ მათი გაწმენდა ქვებისა და მავნე ბალახებისაგან, დაფარცხვა, მრავალწლიანი ბალახების თესვა, სასუქების შეტანა და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება;

დ) განიხილონ საკოლმეურნეო ტყეების მდგომარეობის საკითხი და მიიღონ საჭირო ზომები მათი დაცვისა და მეურნეობის სწორად წარმოებისათვის;

ე) გადაჭრით გააუმჯობესონ სარწყავი წყლის გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის წესების დაცვა. არ დაუშვან ნიადაგის ირიგაციული ეროზიის განვითარება, სრულ წესრიგში იქონიონ საირიგაციო სისტემები და შიგასამეურნეო სარწყავი ქსელი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, შესაბამის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს გააძლიერონ სამეცნი-

ერო მუშაობა ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მწყობრი სისტემების დასამუშავებლად და უზრუნველყონ მათი პრაქტიკაში დანერგვა.

4. საქართველოს სსრ მშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის, გილობრივი მრეწველობის და საავტომობილო გზების სამინისტროებმა, ქიმიური მრეწველობის სამმართველომ, სხვა სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებში ყოველწლიურად გაითვალისწინონ ღონისძიებანი, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისს გახდიან მათთვის დროებით სარგებლობაში გამოყოფილ მიწის ფართობებს და უზრუნველყოფენ მათს დაბრუნებას მუდმივ მიწათმოსარგებლეებისათვის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) განახორციელოს ღონისძიებანი რესპუბლიკის სახელმწიფო ტყეების დაცვის გასაუმჯობესებლად. სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტებთან ერთად შეიმუშაოს რესპუბლიკის სახელმწიფო ტყეებში მეჩხერი კორომების აღდგენის პერსპექტიული გეგმა და შესაბამისად გაზარდოს ტყის მოვლის სამუშაოთა მოცულობა;

ბ) სათანადო კონტროლი დააწესოს რესპუბლიკის ტყეების დაცვაზე, გადამჭრელი ზომები მიიღოს ტყის უნებართვო მჭრელების მიმართ, ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს ტყის მავნებლების, განსაკუთრებით კი ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ;

გ) შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს წინადადებანი ტყის ფართობებზე პირუტყვის ძოვების ახალი წესების შემოღების შესახებ.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს გააძლიეროს ხელმძღვანელობა სახელმწიფო ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების მუშაობისადმი, საზოგადოება „ბუნების მეგობრის“ რესპუბლიკურ საბჭოსა და „მონკავშირის“ გამგეობასთან ერთად განახორციელოს ღონისძიებანი რესპუბლიკაში სასარგებლო ნადირ-ფრინველის კვლავწარმოებისა და ნადირობის წესებისა და ვადების დაცვის უზრუნველსაყოფად.

7. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომმა, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ზომები მწვანე ნარგავთა მოვლა-პატრონობის გასაუმჯობესებლად და ქალაქებში დასახლებულ პუნქტებში ტყე-პარკების, ბაღების, სკვერების, ყვავილნარების გასაშენებლად მოსახლეობის, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობის, ფართო მონაწილეობით.

8. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის, კვების მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა, წყლის რესურსების გამოყენებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა, ქიმიური მრეწველობის სამმართველომ, რუსთავის მეტალურგიული, სინთეტიკური ბოჭკოების, ქუთაისის, საავტომობილო ქარხნებმა და შესაბამისმა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ზღვაში, მდინარეებსა და სხვა წყალსატევებში გაუწმენდავი საწარმოო და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლის ჩაშვების წინააღმდეგ; არ დაუშვან საწარმოებისა და საამქროების საექსპლოატაციოდ მიღება წყლის საწმენდ ნაგებობათა და კანალიზაციის გარეშე.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს, წარმოება-დაწესებულებებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს მტკიცედ დაიცვან რესპუბლიკის მდინარეები, წყალსაცავები და ტბები გაბინძურებისაგან და უზრუნველყონ მათი გეგმაზომიერი გამოყენება, ხოლო საქართველოს სსრ წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა გააძლიეროს კონტროლი ამ საქმისადმი.

10. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს გააძლიერონ კონტროლი ატმოსფერული ჰაერისა და წყალსატევების გაბინძურების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებებისადმი, მკაცრი პასუხი მოსთხოვონ ამ საქმეში დამნაშავე თანამდებობის პირთ.

11. საქართველოს სსრ პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააძლიერონ ბრძოლა საქართველოს სსრ ბუნების დაცვის კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ, არ დაუშვან ასეთ დანაშაულობათა საქმეების გამოძიება-განხილვის გაჭიანურება, ზოგიერთ საქმეთა განხილვა მოაწყონ მშრომელთა კოლექტივებში, მოსახლეობის კრებებზე.

12. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს კიდევ უფრო გააძლიერონ ბუნების დაცვის პროპაგანდა, სისტემატურად გააშუქონ მასთან დაკავშირებული საკითხები, მკაცრად ამხილონ ბუნებისა და მისი რესურსების ყველა ხელმყოფი, შექმნან საზოგადოებრივი აზრი მათ წინააღმდეგ. ამ საქმეში ფართოდ ჩააბან მეცნიერები, მწერლები, სპეციალისტები და მშრომელთა ფართო მასები.

13. საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროებმა, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს და სხვა სასწავლებლებში მეტი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა და სტუდენტთა აღზრდას ბუნებისადმი სიყვარულისა და სათუთი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ:

ა) სისტემატურად განიხილოს **საკითხი, თუ როგორ ახორციელებენ** სამინისტროები, უწყებები, სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები და მეურნეობები ბუნების დაცვის, მისი რესურსების გამოყენებისა და კვლავწარმოების, ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებებს; დასახოს და განახორციელოს საჭირო ზომები ამ დანიშნულებით გამოყოფილი ფულადი და მატერიალური სახსრების ასათვისებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შეიმუშაოს წინადადებანი იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც ზიანს აყენებენ ბუნებას, უდიერად ეპყრობიან ამ სიმდიდრეს და განსახილველად წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს:

გ) შეისწავლოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი და თავისი წინადადებანი განსახილველად წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

*

* *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, სამინისტროები და უწყებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობა განუხრელად შეასრულებენ ბუნების დაცვის კანონს და ამით თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 18 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

96 საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის დამტკიცების შესახებ*)

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1970 წლის 1 ოქტომბრიდან.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესი და დაამტკიცოს საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომლებიც ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 18 ივნისი.

*) იხ. დანართი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

97 „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 15 იანვრის გრძანებულება — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლში: სიტყვების შემდეგ „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ თავმჯდომარე“ დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 18 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

98 „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 29 აპრილის გრძანებულება „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 18 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

99 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1970 წლის 29 აპრილისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ“;

1970 წლის 14 მაისისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 18 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

100 „მაღალძაბვიანი ელექტროქსელების დაზიანებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 24 მარტის ბრძანებულება „მაღალძაბვიანი ელექტროქსელების დაზიანებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის **შესახებ“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 18 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა

101 **„იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 14 მაისის გრძანებულება „იმ პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

ქ. თბილისი, 1970 წლის 18 ივნისი.

11.363

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

102 **საქართველოს სსრ მინისტრებისა და მთავრობის სხვა წევრების გათავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

1970 წლის 15 იანვრისა — ამხ. კ. ს. ციმაკურიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1970 წლის 13 თებერვლისა — ამხ. ნ. გ. გომელაურის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

1970 წლის 3 აპრილისა — ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1970 წლის 3 აპრილისა — ამხ. რ. ი. ფრუიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1970 წლის 3 აპრილისა — ამხ. მ. ი. კუჭავას საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

1970 წლის 3 აპრილისა — ამხ. ბ. ს. კვარაცხელიას საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1970 წლის 3 აპრილისა — ამხ. ი. ი. ჩოდრიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

1970 წლის 3 აპრილისა — ამხ. მ. ი. კუჭავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1970 წლის 29 აპრილისა — ამხ. ო. გ. თუხარელის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ;

1970 წლის 29 აპრილისა — ამხ. ი. ნ. ციციშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1970 წლის 18 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

103 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. დურმიშხან ანთიმოზის ძე ლორია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1970 წლის 18 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

104 ამხ. ო. ა. ჯიბლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ოთარ ალექსანდრეს ძე ჯიბლაძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 18 ივნისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

105 ამხ. ე. მ. ჩიქვინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. ეთერ მიხეილის ასული ჩიქვინიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 18 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

106 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის შექმნასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1968 წ., № 12, მუხლი 192-ე) შემდეგი დამატებანი:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების მე-3 მუხლს სიტყვების „საგარეო საქმეთა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ახალგაზრდობის საქმეთა“.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12-ა მუხლი:

„**მუხლი 12-ა.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიას ევალება:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად მოამზადოს საქართველოს სსრ კანონთა პროექტები და სხვა წინადადებანი ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების, პროფესიული სწავლების, შრომის, ყოფაცხოვრების, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვისა და სამეცნიერო-კულტურულ მშენებლობაში ახალგაზრდობის მონაწილეობის საკითხებზე;

2) მოამზადოს დასკვნები საქართველოს სსრ კანონების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტებზე, რომლებიც მას წინასწარ გადაეცა განხილვისათვის;

3) მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის წინასწარ განხილვაში;

4) მოისმინოს საქართველოს სსრ სამინისტროების და უწყებების, სხვა რესპუბლიკური ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების მოხსენებები იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ კანონები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტები ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების, პროფესიული სწავლების, ჯანმრთელობის დაცვის, შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების, სამეურნეო თუ კულტურულ მშენებლობაში მონაწილეობის, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის საკითხებზე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 18 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

107 ამხ. გ. ი. სტვილიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მთავარი ბუღალტერი ამხ. გიორგი ივანეს ძე **სტვილია** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 5 ივნისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

108 დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის საყრდენ-საჩვენებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის კადრების მომზადების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის **დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის საყრდენ-საჩვენებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 19 ივნისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

109 ამხ. დ. გ. შარაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის საველმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. დავით გიორგის ძე **შარაშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

110 ამხ. ვ. პ. გუგუნავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ვალერიან პლატონის ძე **გუგუნავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 19 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

111 პროფესორ თ. ნ. ლოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მანქანათმშენებლობის და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის — „პტნიიმეს“ დირექტორი, პროფესორი თეიმურაზ ნიკოლოზის ძე **ლოლაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 19 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

112 ამხ. ლ. კ. დობრონეცკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ლეონიდე კონსტანტინეს ძე **დობრონეცკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 22 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

113 ამხ. ბ. ს. გოგილიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის მდივანი ამხ. ბიჭიკო სეფეს ძე **გოგილიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 22 ივნისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

114 პროფესორ შ. თ. ჭანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი შალვა თომას ძე **ჭანიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1970 წლის 22 ივნისი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ განიხილა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინერალური სასუქებით უზრუნველყოფისა და გამოყენების მდგომარეობა. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მინერალური სასუქებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფა, მეტი ყურადღება ექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცევა მათს რაციონალურ გამოყენებას, საგრნობლად გაუმჯობესდა მოვლა-მენახვა და აღრიცხვა.

ამასთანავე კომისიამ აღნიშნა, რომ მინერალური სასუქების შემოზიდვაში, მოვლა-პატრონობასა და გამოყენებაში ჯერ კიდევ არის არაერთი ნაკლი.

1970 წლის 1 ნახევრის გეგმით გათვალისწინებული 275 ათასი ტონიდან რესპუბლიკაში შემოზიდულია 263 ათასი ტონა სასუქი. „საქსოფლტექნიკის" ზოგიერთი რაიონული განყოფილება ვერ უზრუნველყოფს გეგმისა და ასორტიმენტის მიხედვით სასუქების შეზიდვას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში.

მთელ რიგ რაიონებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არა აქვთ ნორმალური პირობები სასუქების შენახვისათვის, ხოლო „საქსოფლტექნიკის" საწყობებს საშუალება არა აქვთ მიიღონ და შეინახონ მინერალური სასუქების ახალი პარტიები.

რუსთავის აზოტოვანი სასუქების კომბინატი რაიონებში გზავნის სასუქს **არასტანდარტული ტარით** შეფუთულს.

ქარელის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში თავთავიანი კულტურების ნათესებში შეტანილია სასუქების გადიდებული რაოდენობა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები გ. კავთიაშვილი, შ. ვერულაშვილი, ი. ტოლიაშვილი, შ. ეცადაშვილი, შ. ყამბარაშვილი, პ. გუნია, „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის მოადგილე ვ. კოზაევი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქიმიზაციის განყოფილების გამგე თ. ნარუაშვილი და სხვ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა მ. საბაშვილმა.

*

* *

კულტურის მუდმივმა კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის ამხ. ა. დვალიშვილის მოხსენება რესპუბლიკის თეატრების მონაწილეობის შესახებ მასების კომუნისტურად აღზრდაში. მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ დიდია თანამედროვე თეატრის წვლილი მასების იდეურ-ესთეტიკურ აღზრდაში.

თეატრების რეპერტუარში წამყვანი ადგილი უჭირავს თანამედროვეობის ამსახველ ნაწარმოებებს, მრავალფეროვანია თემები და პრობლემები, იზრდებიან ახალი შემოქმედებითი ძალები.

ბევრი ახალი და საინტერესო დადგმა განხორციელდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 და ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ თეატრი ჯერ კიდევ სრულად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვეობის მოთხოვნებს. სცენაზე არც თუ იშვიათად ვხედავთ მხატვრულად სუსტ ნაწარმოებებს, მოუგვარებელია ბევრი შემოქმედებითი და ორგანიზაციული ხასიათის საკითხი, განსაკუთრე-

ბით ადგილობრივი დაქვემდებარების თეატრებში, რომლებსაც აკლიათ უმაღლესი პროფესიული განათლების მქონე კადრები. ზოგიერთი რაიონული თეატრებს აკლიათ რეჟისორები, მსახიობები, ხოლო ადგილობრივი ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კადრების შენარჩუნებას რაიონში, ნაკლებად ზრუნავენ მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

დღემდე არ არის შექმნილი რეჟისორთა რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭო, რომელმაც კონტროლი და დახმარება უნდა გაუწიოს ადგილობრივ თეატრებს.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მუდმივი კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა გ. ყიფიანმა, ა. ბატიაშვილმა, ს. დოლიძემ, რ. ლაღიძემ, ნ. მგელიაშვილმა, შ. გაგოშიძემ, ა. მექვაბიშვილმა და სხვ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ს. რიგვავამ.

*

* *

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივმა კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილის ამხ. ფ. კავთიაშვილის და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კ. ბუხრაძის ინფორმაციები საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში სპეციალისტების მომზადებისა და გამოყენების მდგომარეობის შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირის გამგეობა და მათი ქვემდგომი ორგანოები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან კადრების მომზადების, შერჩევის, აღზრდისა და განაწილებისათვის.

სამინისტროს კოლეგიისა და ცეკავშირის გამგეობის სხდომებზე სისტემატურად განიხილავენ ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების, გამოყენების, მათთვის სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს.

უკანასკნელ წლებში ვაჭრობის სამინისტროსა და სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით საგრძნობლად გაუმჯობესდა კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა.

სერიოზული ყურადღება ექცევა სავაჭრო სისტემაში ქალთა შრომის გამოყენებას. დღეისათვის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში მომუშავეთა შორის 55,6 პროცენტი ქალია, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციაში — 43,5 პროცენტი.

კომისიამ ამასთანავე აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის სისტემაში სპეციალისტების მომზადებასა და გამოყენებაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები, ხშირად სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სპეციალისტთა კადრების ადგილებზე შენარჩუნებას, მათთვის საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ნაკლოვანებებია კადრების შერჩევასა, აღზრდასა და განაწილებაში, არის შემთხვევები, როდესაც ვაჭრობის სისტემაში ნაცვლად სპეციალისტებისა

მიღებული არიან და შრომობენ აგროტექნიკოსები, ექიმის თანაშემწეები, მძღოლები, ფარმაცევტები და სხვ. (ხაშურის, მაიაკოვსკის, დუშეთის, წულუკიძის, ლანჩხუთის, ბოლნისის კოოპორგანიზაციები).

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები ა. გობრონიძე, ა. შადური, პ. ნოზაძე და სხვები.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ მ. დანელიამ.

■

■ ■

ბუნების დაცვის მუდმივმა კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. მ. კუჭავას მოხსენება რესპუბლიკის სახელმწიფო ტყეების მოვლა-პატრონობის, დაცვისა და აღდგენის ღონისძიებათა შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში ჩატარებულია მნიშვნელოვანი მუშაობა ტყეების აღდგენის, დაცვისა და რაციონალურად გამოყენებისათვის.

ამასთან ერთად, ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

წალკის, ბოგდანოვკისა და ახალქალაქის რაიონებში დროულად არ გამოყვეს ფართობები მინდორსაცავი ტყის ზოლების გასაშენებლად. ხშირად უკვე გაშენებულ ზოლებს აზიანებენ თვით მიწათმოსარგებლენი (თეთრიწყაროს, წალკისა და ბოგდანოვკის რაიონები). კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სატყეო მეურნეობებს არასაკმარისი რაოდენობით აწვდიან მუშახელს მინდორსაცავი ტყის ზოლების გასაშენებლად.

ტყის მცველთა სუსტი მუშაობის გამო ხშირია ტყის უნებართვო ჭრა და დატაცება.

ზოგიერთი სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოები რიგ შემთხვევაში აჭიანურებენ მათთვის გადაცემული საქმეების განხილვას და დამნაშავეთა დაჯარიმებას.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში დასახულია ღონისძიებანი ტყის ხანძრების თავიდან ასაცილებლად, ზოგიერთ ადგილებში (მესტია, ახალი ათონი, აბასთუმანი, ზესტაფონი) ჯერ კიდევ ადგილი აქვს ხანძრებს.

სატყეო მეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად ინერგება მეცნიერების და ტექნიკის მიღწევები.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ კომისიის თავმჯდომარე ი. ნონეშვილი, მისი მოადგილე ვ. უნგიაძე, კომისიის წევრები დეპუტატები ნ. ყოჩიაშვილი, ი. ხაბულიანი, ო. ანთია, საქართველოს სსრ ტყის და ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე კ. საბაშვილი, ტყის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ზ. ჩხუბიანაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალთა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს უფროსი კ. მამისაშვილი, საზოგადოება „ბუნების მეგობრის“ პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ფ. ნატროშვილი დ სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივმა კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. მ. ღვინჯილიას მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის 1968 წლის 28 ნოემბრის დადგენილება „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობაში რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მურნეობების მონაწილეობის შესახებ". კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად სერიოზული მუშაობა გასწიეს.

1968-1970 წლებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით აშენდა და ამუშავდა საყოფაცხოვრებო მომსახურების 564 ობიექტი. კარგი მაჩვენებლები აქვთ მახარაძის, ზუგდიდის, სიღნაღის, ორჯონიკიძის, ზესტაფონის, ქარელის, გორის და სხვა რაიონებს.

1969 წელს მახარაძის რაიონის სოფელ თხინვალის კოლმეურნეობაში აშენდა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, რომელშიც მოთავსდა საპარიკმახერო, სამკერვალო და ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოები. სოფლებში ჯუმათში და ბაილეთში აშენდა აბანოები. ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ამუშავდა საყოფაცხოვრებო მომსახურების 16 პავილიონი, 12 ხე-ტყის სახერხი.

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ააშენეს 6 საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, 2 აბანო, 3 წისქვილი, 2 პავილიონი. 1970 წელს დამთავრდება 5 საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატისა და ერთი აბანოს მშენებლობა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო პერიოდულად სწავლობს და იხილავს კოლეგიის სხდომებზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობის მდგომარეობას.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი ფორმების დანერგვისათვის, ახალი ობიექტების აშენების და კადრების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მომზადებისათვის მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო.

საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები სერიოზულ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობას, პერიოდულად სწავლობენ და განიხილავენ სხდომებზე აღნიშნული საკითხის მდგომარეობას და სახავენ ქმედით ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამასთანავე კომისიის სხდომაზე აღინიშნა არაერთი ნაკლი მუდმივი კომისიის 1968 წლის 28 ნოემბრის დადგენილების შესრულებაში.

1968-1969 წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობების ვალდებულებათა გა-
თვალისწინებული საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების აშენება-
ბის გეგმები არ სრულდება.

ზუგდიდის რაიონის ხუცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 1967 წლიდან
არც ერთი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი არ აშენებულა, ხოლო
ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 1969 წელს აშენებული კომბინატი არ
მოქმედებს. წყალტუბოს რაიონის გეგუთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭო-
თა მეურნეობაში 4 საპარიკმახერო, ფეხსაცმლის და ტანსაცმლის შემკეთებე-
ლი სახელოსნოები მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში.

სათანადო მასალების უქონლობის გამო ჭიანურდება ზესტაფონის რაიონის
კლდეთის, ფუთისა და ალავერდის კოლმეურნეობებში 1968 წელს დაწყებული
აბანოების მშენებლობა.

სიღნაღის რაიონის სოფელ ფანიანში, ზემო ბოდბეში და ხაშურის რა-
ონის სოფლებში: კრისხევში, ღართაში, ცედანში, ოძისში, თაგვეთსა და რბო-
ანაში საყოფაცხოვრებო მომსახურების არც ერთი ობიექტი არ არის.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დე-
პუტატები: დ. საბაშვილი, ვ. სანიკიძე, შ. ჯოგლიძე, ა. კოროშია, მ. ბერულაშვი-
ლი, ვ. თანდაშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომ-
სახურების მინისტრი ფ. დუმბაძე, მინისტრის მოადგილე ნ. ნოდია, საქართვე-
ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მოსახლეობის
საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების უფროსი ე. ალანია, საქართვე-
ლოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საწარმოო განყოფილების
უფროსი პ. თევზაძე.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ჟვანიამ.

განხილული საკითხების გამო კომისიებმა მიიღეს სათანადო დადგენილე-
ბანი.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-
ჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს
ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-
უმმა 1970 წლის 30 ივნისის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენე-
ბითა და **„დედობის მედლით“** დააჯილდოვა 282 მრავალშვილიანი დედა, მათ
შორის:

ქ. ქუთაისიდან	8
ქ. რუსთავიდან	4
ქ. ჭიათურიდან	26

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბაშის	რაიონიდან	11
ადიგენის	„	6
ამბროლაურის	„	5
ახალციხის	„	7
ახმეტის	„	21
ბოგდანოვკის	„	3
გეგეჭკორის	„	18
გორის	„	14
დუშეთის	„	10
თიანეთის	„	5
ლაგოდეხის	„	8
მარნეულის	„	26
მახარაძის	„	17
მცხეთის	„	12
ორჯონიკიძის	„	6
საგარეჯოს	„	32
საჩხერის	„	2
წალკის	„	11
წითელწყაროს	„	12
ხაშურის	„	6
ხობის	„	12